



წები ბალისთვის, ეგრეთვე ვაზის მარ-  
გილი და ფურცლები.

\* \*

შილოქსერის შემდეგ კალია. მის  
შემდეგ უი!

ზანჯილამ იწერებინა, 17 აპრილს,  
რომ მლიზავეტო-პოლის გუბერნიის  
შვიდ მაზრაში კალია გამოჩეკილა.  
ძალიანს მეცადინეობაში არიან, რომ  
დახოცონ ეს კალია, სანამ ფრთას  
მოისხამდეს.

\* \*

ბუშინ წინ, სამშაბათს საღამოს,  
თფილისის სახალხო ბიბლიოთეკაში  
იყო სხდომა ძველკაისის ბუნების ცოდ-  
ნის მოყვარე საზოგადოებისა და ალ-  
პის კლუბისა.

ამ სდომაში ბ-ნ სოროკინმა წაი-  
კითხა „აწმყო, წასული და მომავალი“  
ბათუმის ბუნებისა. ლექტორის აზრით,  
ის ადგილი, სადა ახლა ბათომია გა-  
შენებული, ძველათ იყო ზღვის ძი-  
ძირი, მაგრამ შემდეგ, ქოროხის მდი-  
ნარის და ზღვის წყალობით ეს ადგი-  
ლი გაირიყა და თან-და-თან გაკეთდა  
ხმელეთი...

ბ-მა რადღემ უჩვენა ყრილობას  
ვეშაპის ხერხემალი, რომელიც წასრულ  
წელში ბათუმის ახლოს დაუჭერიათ.  
ძველკაისის მუზეუმს შეუძენია ამ ვეშა-  
პის სკელეტი.

დასასრულ საზოგადოების თაე-  
მჯდომარეთ ამოირჩიეს ბ-ნი რადღე.

სხდომას დაესწრო მისი უმ-ღლე-  
სობა დიდი მთავარი ნიკოლოზ მი-  
ხეილის-ძე, რომელიც საზოგადოებამ  
ამოირჩია საზოგადოების საპატიო თაე-  
მჯდომარეთ.

საზოგადოება მომავალ წელში აპი-  
რებს ქურნალის გამოცემას.

\* \*

„ძველკა“ გაუგონია: საზოგადოება  
მაზრის მზრუნველს ბატ. იანოვსკის  
განზრახვა აქვს დაბეჭდოს იმ კამი-  
სიის შრომა, რომელმაც პროფესიო-  
ნალური სკოლების გამართვის პროექ-  
ტი შეადგინა, რომ ამ გვართ, საზო-  
გადოებას და პრესას შეეძლოს თავი-  
სი ჰაზრი წარმოთქვას ამ საგანზე, სა-  
ნამ პროექტი დამტკიცებული იქნება.

\* \*

პეტროვსკილამ (დალესტან შია) სწე-  
რენ იმავე გაზეთს, რომ 13 აპრილს  
სომხის აკლდამაზე უნახეთ გათხრილი  
ერთი ვილაც ქალის საფლავი, ოთ-  
ხი თვის წინათ იყო დამარხული. არ  
იცინაო. სწერს კორრესპონდენტი,  
რა მიზეზია ამ ბოროტ-მოქმედებისა,  
მაგრამ, უეჭველია, ძვირფასი სამკაუ-  
ლების ამოსაღებათ კი არ გაუთხრიათ  
ეს საფლავი, რადგანაც განსვენებულთ-  
სათვის არაფერი ძვირფასეულობა არ  
ჩაუტანებიათ.

\* \*

რადგანაც ხვალ, პარასკევს, გაზე-  
თი არ გამოვა, დღესვე ვაცნობებთ  
მკითხველებს, რომ ხვალ, საღამოს 8  
საათზე, არის დანიშნული მეხუთმეტე  
სხდომა „გუგუხას ტეაქსის“ რედაქ-  
ციისა.

„დროების“ კორრესპონდენცია.

წინა-მხარი, 18 აპრილს. სიღა-  
ლის მაზრაში, საზოგადოათ, შემდეგი  
წესი არის შემოღებული სოფლის  
მოხელეების ამორჩევის დროს: ვინც  
ყველაზედ მდიდარია სოფელში, ის  
უნდა იქმნეს მამასახლისათ; დანარ-  
ჩენ მდიდრებიდან სოფლელებმა უნ-  
და ამოირჩიონ სუდიები. ამას ურჩე-  
ვენ ხალხს ამომრჩევენი პირნი, მაზრის  
უფროსი და მიროვოი პასრედნიკი;  
ხალხმაც იმათი რჩევა უნდა ძალა-  
უნებურად გაიგონოს. მდიდრების  
ამორჩევით ვითომც ხალხს უნდა სარ-  
გებლობა მოუტანონ, შეწუხება აღარ  
გექნებათ მათგანაო, მაგრამ ისინი  
თავიანთ პიროვნული სარგებლობისა-  
თვის უფრო ცდილობენ; მათ უნ-  
დათ, რომ იყენენ მოხელეებისაგან  
პატივცემული. მინა სცემთ იმათ მო-  
მეტებულ პატივს, თუ არ მდიდარი  
მოხელეები? თუ ხალხის შეწუხება  
აქეთ სახეში და არა თავიანთი სარ-  
გებლობა, რატომ არ უკვირდებიან  
ის დალოცვილები, როგორ მოიპო-  
ვეს თავიანთი სარჩო იმ მდიდრებმა,  
რომლებსაც ირჩევენ მოხელეებათ?  
ზანა ქართული გამდიდრდება თუ გა-  
ქნელი არ არის?

ზემოხსენებული წესიერება უფრო  
წარმატებაში არის წინა-მხარში. (წინა-  
მხარათ იგულისხმება სიღაღის მაზ-  
რის სოფლები ს. მელის-ციხილამ მო-  
კიდებული ვიღრე ანაგა-ვაქისამდე,  
პოპანის მხარეს). ნამდვილათ რომ  
ვთქვათ, ამ მხარეში ამორჩევა სოფ-  
ლის მოხელეებისა ჰხდება ადმინი-  
სტრაციისა და თავადების ნებით და  
არა ხალხის სურვილით. მართი მათ-  
გან გაძრახებული კაცი დაიძახებს,  
რომ ესა-და-ეს უნდა იყოს მამასახლი-  
სათაო და ყველანი იმას მიჰყვებიან.  
რადგანაც ამ ყველობაზედ ზოგიერთ  
სოფლებში შეძლებული კაცები იყ-  
ვნენ მოხელეებათ, არ უნდოდა სი-  
ღაღის ადმინისტრაციას მიროვოი  
პასრედნიკითურთ იმათი გამოცემა;  
თითონ მოხელეები ხომ აბა რათ მოი-  
მლომებდნენ გამოცელას, როდესაც  
ისინი არიან თავიანთ სოფლებში ისე-  
თივე უფლებით, როგორც ბატონ-  
ყმობის-დროს თავადები იყენენ თა-  
ვიანთ ყმებისთვის? სადაც კი საჭირო  
იყო, იქ აპრობდნენ გამოცელასა  
და კეთილ საიმედო პირების დაყენე-  
ბას.

მოუვიდათ მოხელეებს მოწერი-  
ლობა, რომ ახალი ამორჩევა უნდა  
იყოს ამა-და-ამ დროსაო. რასაკვირ-  
ველია, ამ დღიდან მოხელეებმა გამო-  
იცვალეს თავიანთი დამოკიდებულე-  
ბა ხალხთან და, როგორც გამოვიდა  
ხმა, აფრინეს წერილები მიროვოი  
პასრედნიკთან....

ამოირჩიეს მოხელეები მიხიყში და  
გაემგზავრნენ წინა-მხარისკენ ამომ-  
რჩევენი, მაგრამ ხელმწიფე იმპერატო-  
რის გარდაცვალებამ მოაბრუნათ ისევე  
უკან და დროებით შედგა ამორჩევა.  
მაგიერად ამისა მაზრის უფროსი წა-  
ე და წინა-მხარში ხალხის დასაფიცე-

ბლათ ახალი იმპერატორის ერთგუ-  
ლებაზედ. ამ გარემოებას დიდი მნიშ-  
ენლობა ჰქონდა მოხელეების დარ-  
ჩენაზედ თავიანთ ადგილებზე. იმათ  
გამართეს მშენიერი სადილები.....

თუმცა მიროვოი პასრედნიკმაც  
მისცა იმედი, უფრო დიდი იმედი  
მოეცათ ნაჩაღნიკისაგან; იმედს აძ-  
ლევდნენ კიდევ გველნილიანი პი-  
რები-თავადები, მაგრამ კიდევ ფრთხი-  
ლათ მოიქცნენ მამასახლისები. მო-  
ხელეების ამოსარჩევად დადიოდნენ  
წინა-მხარში მაზრის უფროსის თანა-  
შემწე და მიროვოი პასრედნიკი იმა-  
ვე ამალით, რომლითაც თვითონ მა-  
ზრის უფროსი დადიოდა ფიცის დროს.  
სადაც საჭირო იყო გამოცვალეს მოხე-  
ლეები, სადაც უნდოდათ ისევე ძველები  
დააყენეს; ჰაურდა თუ არა ხალხს,  
იმათ ფეხებზედ ეკიდათ. ან ხმას რო-  
გორ ამოიღებდნენ! მართ სოფელში  
ხალხმა თურმე გამოიჩინა გამჭირაბო-  
ბა და წავიდა წინააღმდეგ ამომრჩევე  
პირებისა; იმათ უნებურათ ამოირჩიეს  
სხვა. ამომრჩევთ პირთ შეადგინეს  
ტელეგრაფმა და გაუგზავნეს გუბერ-  
ნატორს: „შენიშნულ კაცს ირჩევენ  
მამასახლისათ ესა-და-ეს სოფლებიო  
და... მლიან იმის განკარგულებას.  
ზანა აქაურ მამასახლისებზედ შესა-  
ნიშნავი სხვა იქნება ვინმე?... ამის  
შემდეგ, რომ ხალხმა აღარ იკადნი-  
ეროს, გაუგზავნეს განკარგულება იმ  
მამასახლისებს, რომელნიც თითონ  
ამათ უნდოდათ, რომ ისევე ამოსარ-  
ჩევათ, ხალხი შეეკრიფათ თანაგანთ  
სახლებში. რალა თქმა უნდა რომ  
ამ თავიანთთვის სასიამოვნო განკარ-  
გულებას დაუყოვნებლივ აღასრულებ-  
დნენ მამასახლისები. მოვიდოდნენ  
ხოლმე თუ არა თანაშემწე და პოს-  
რედნიკი შეყრილ ხალხთან, ერთ  
ხმად ეუბნებოდნენ: „რასაკვირველია,  
თქვენ ისევე ამას ამოირჩევთ მამასახ-  
ლისათო“ და მამასახლისის პურ-მა-  
რილს აბა ვინ დაიფიცებდა?!..

ერთი ვინმე

ბათონი, 8 აპრილს. ამას წინათ,  
ოცს მარტს, ჩვენ გიანგლით ტყეების  
რევიზორთან სახანთქრო ტყეების  
სანახავათ, ძინტრიშის მაზრაში.

მივედით და ენახეთ, რომ მიმაეა-  
ლი მოჰაჯირებს მოუკიდნიათ ცეცხ-  
ლი სახანთქრო და სასოფლო ტყეე-  
ბისათვის და გადაუწვავთ; კიდევ რა-  
მოდენიმე ათი და თუთხმეტი ფირა-  
ლის თაე-შესაფარი ხეები კი დარჩე-  
ნილან იქა აქ....

მც-და-ოთხს მარტს ჩვენ მიველი-  
დით ჩოლოქის პირათ და ენახეთ  
გალმა ბურიის მხარეს რამოდენიმე  
მუშა ხალხი, -ყანას მუშაობდნენ.

იქ მუშებისათვის სადილი მონაქო-  
ნა ერთს გურულს, მზურგეთის  
უეზლის სოფლის ლეხურელს მცხოვ-  
რებს სალიქვადეს.

ჩოლოქის ახლო თურმე იმას შეხე-  
თა რამოდენიმე დაიარაღებული თათ-  
რები ესე იგი ფირალები, რომელთაც  
მოიტაცეს ის თავისი სადილიანათ.

სადილის მოლოდინე ხალხმა სადი-  
ლობადის იყურეს, მკერძი დადილი  
არ მოუვიდათ; იმათგან ერთი წყვილად  
ამბის შესატყობათ რატომ ამოდენ  
ხანს სადილი არ მოგვივიდაო.

სოტა რო წაიწია შეიტყო, რომ  
შესადილე გლეხი ფირალებს მოუტა-  
ცნიათ. იმან მაშინვე შეატყობია თა-  
ვის ამხანაგებს და წავიდნენ ბურიაში  
ნათესაების შესატყობინებლათ; იქილ-  
გან წამოვიდნენ სამოცამდის გურუ-  
ლები ეძიეს და 1-ს აპრილს ნახეს  
ერთი სახსარ-სახსარ დაჭრილი კაცი.  
ზოგიერთი ნაჭერი წყალში გადაეყა-  
რათ, ზოგი კი ვერ იპოვეს. ამბობენ  
რომ ამ გურულის მოტაცების მიზეზი  
ის ყოფილა რომ შარშან ვილაცა გუ-  
რულს თათარი მოუკლავს და ეს იმისი  
მაგიერი არისო.

როგორც ამბობენ, სადაც ის მკვდა-  
რი ნახეს ის ტყე ძინტრიშის უჩასტკას  
ეკუთენისო, მაგრამ ბ. მაზრის უფ-  
როსს თავი არ შეუწუხებია და არ  
წასულა სანახავათ, არამც თუ მეცა-  
დინეობა გაეწია იმათი დაჭერისაო!

ზემოხსენებული ტყეებიდან დაე-  
ბრუნდით და ჩამოვედით ჩ-ში 1-ს  
აპრილს და დავედქით მურად-ბეგი  
თავდგირიძის ნაქონ სახლში, რომე-  
ლიც ამ დროებით უყიდნია იქაურ  
მაზრის უფროსს; ამ სახლის ქვემო  
ოთახში ოთხი ტუსადი იყო, რომ  
შელთაც გარედამ ექვსი-შვიდი სალ-  
დათები იცავდნენ. ამათგანი ერთი  
საღდათი გარეთ დადიოდა და უყუ-  
რებდა ტუსადებს. სამს აპრილს, ღამის  
სამ საათზე, შეიქნა თოფების სროლა  
და საღდათის ყვირილი. მაგრამ ისე-  
თი სროლა კი იყო რომ კაცს ეგო-  
ნებოდა ისთევე ომს დავესწართო.  
ამ დროს წამოვარდით ფეხზე და გა-  
ვიხედეთ ფანჯარიდან, ენახეთ რომ  
საღდათი მიწაზე გდია და ღრიალით  
იკლებს იქაურობას.

სოტა რო შეწყდა თოფის სროლა  
ჩამოვედით ძირს, მაგრამ დანარჩენი  
საღდათები კიდევ არ იყენენ გარეთ  
გამოსული, რადგანაც კარებში დაუ-  
შინეს თოფები და გამოსვლის გზა  
არა ქონდათ.

მეგრე საღდათები გამოვიდნენ და  
შექნეს თოფების სროლა ჰაერში რომ  
მოშველებოდნენ. ამ დროს მოვიდა  
როტა და ერთიც ორმოცი ყაზახები  
თავის კამანდირით და, რასაკვირვე-  
ლია, ჩვენი ზაფთებიც.

ძირს დაგორებულმა საღდათმა  
დაიძახა მომკლა მეგონა მ...ძალდამაო.  
ამ დროს გავიხედეთ მოვიდა ბ. მაზ-  
რის ნაჩაღნიკი და პირველათვე იკით-  
ხა ტუსადები ყველა თუ არიანო! —  
ერთმა ტუსადთაგანმა უპასუხა ხასან  
დერეშ-ოღლი არ არის ბატონოგო!  
შექნეს ამაზე ერთი ყვირილი, მაგრამ  
რალა დროს იყო მაშინ ათი ვერს-  
ტი გზაც ექნებოდა გველილი. რო-  
გორც მეგრე გავიგეთ ზემომხსენებული  
ტუსადი ფანჯრიდან იყო გამძვრალი.

დერეშ-ოღლი სხვათა შორის ტა-  
მოქნის ცხენების მოპარვაშია ბრალ-  
დებული. როდესაც ეს დერეშ-ოღლი  
დაიჭირეს იმის გამოშობის ფაობაზე

ძალიან მონდომებულნი იყვნენ ქობულეთლები მაგრამ ნაჩაღნიკმა არ გაუშვა ის თანდებობის ქვეშ. მაშინ ღერეშ-ოღლის ძმამ მაინც საშველი არ ქონებიაო და დეცა ათი კაციო და—თავისი ძმაც გაუშვა და ერთი სალდათიც დაჭრა.

მეორე დღეს, ოთხ აპრილს, დეცნენ ღერეშ-ოღლის სახლს განთადისას, მაგრამ იქ ის ვერ იპოვეს.

თავ ი. ს. ჯიანია.

**წერილი რედაქტორთან.**

ბატონო რედაქტორო! შექვევლია, გემანსოვნებთ წასულის წლის ბათომელი წერილი, რომელიც იყო დაბეჭდილი თქვენს გაზეთში შესახებ ჩვენს მდგომარეობისა და თავად მელიქოვის მობრძანებისა.

მხლა კი დავრწმუნდით, რომა ნამდვილად ბრძანებულია ჩვენი ამ გაჭირებისაგან გამომხსნელი ბატონი მელიქოვი, რომელსაც ღმერთი ასწილად მიაგებს ყოველს კეთილს. მაგრამ ეს სათხოვარიც აღვეისრულოს: ისეთი მახროს ნაჩაღნიკები დაგვიჩვენოს, რომელთაც შესძლონ ნამდვილი ხალხის სამსახური, დაიმსახურონ მისი სიყვარული, აგრეთვე ისეთი კაცები უნდა იქნეს, რომელთა სახელი განთქმულია ჩვენში და იმერეთში.

ღი მაშინ დაინახავს მრთელი ქვეყანა ვინ ყოფილა მიზეზი ჩვენს სამშობლოს გავერანებისა და ჩვენს აქედამ ვანდენისა.

მამუდალა ჯიანია.

18 აპრილი.

1881 წელს.

ქ. ბათობი.

**რუსეთი**

პეტერბურლიდამ სწორენ გაზეთს „რუსკი ტურიერს“, რომ იქ ამოუჩენიათ სამი მალული სტამბა.

— ამას წინეთ იწერებოდნენ, რომ სახალხო სკოლების რიცხვი გამრავლდება; ეხლა იწერებიან ამასთანავე, რომ პროგიმნაზიების რიცხვს მოაკლდება.

— როგორც პეტერბურლის გაზეთები ამბობენ, მოკლე ხანში სამეურნეო ინსტიტუტი (ИЭСНОЙ ИНСТИТУТЪ) აღარ იქნება დაზურულ სასწავლებლათ; სტუდენტებს მიეცემათ უფლება კერძო სადგომებში ცხოვრებისა; ეხლანდელი სადგომი ოთახები გადაკეთდება აუდიტორიებათ, რადგანაც ამათ რიცხვს უნდა მოემატოს. ის განაწილება ხარისხებისა, რომელიც აქამდის მიეცემოდათ სტუდენტებს კურსის გათავების დროს, ამას იქით მოსპობილი იქნება.

**უცხოეთი**

**ოსმალეთი.** ბერლინიდამ იწერებიან, რომ ოსმალეთის მთავრობამ თავის ცირკულიარით უსიამოვნობა გამოუცხადა სახელმწიფოებს საფრანგეთის გამოლაშქრებაზედ ოუნისზედ, რადგანაც ეს უკანასკნელი შეადგენს ოტტომანის იმპერიის ნაწილს.

**თუნისი.** გაზეთ „Kölnische Zeitung“-ში სწორენ: ხრუმილების სამი მეთაოსნე გამოცხადდნენ ოუნისის ბანაკში და გამოუცხადეს საიდუმლის, რომ ისინი არ დამორჩილდებიან არც იმ შემთხვევაში თუ გინდ რომ მოუხდეს თუნისელების ჯართან ომი. ხრუმილებს, რომელთ რიცხვი 15,000 ათას კაცამდინ არის, შეუერთდენ 2,000 უშლეტები.

მეროპიელები, რომელნიც სცხოვრებენ ქალაქს ოუნისში საშუალებას ეძებენ თავი დაიფარონ ომის დროს; უველა იმათგანს აქვს ამ ჟამად სამხედრო იარაღები და მასალები. ჰონსულებმა საჭირო ქაღალდები დამალეს. მაჰმადიანელები ისე აღელვებულნი არიან, რომ შეიძლება არეულობის დროს იმათ დაიჭირონ ევროპიელების მხარე. მუსტაფამ მიიღო ყოველი საშუალება იმ პირთა შესახებ, რომელთაც უწყსოება მოახდინეს რკინის გზაზედ.

— პარიჟელი გაზეთი „Temps“ გვაცნობებს, რომ ოუნისში დაატუსაღეს რამოდენიმე ფანატისკოსები—მაჰმადიანელები, რომელნიც ხმა მალდა იწოდებდნენ ხალხს მიელოთ მონაწილეობა ქრისტიანების წინააღმდეგ შეტაკებაში.

— ლენერალი ლოჟერო დებეშით იწერება ქალაქ პეჭილიდამ 15 აპრილს; „ლუბერნატორმა ვადმომცა პეჭი; თავს დასაცემათ ჯარი სრულიად დამზადებულია“. ლოჟერო მიდის მეჯირღში, პეჭში კი ერთი კორპუსის დატოვებას აპირებს. ტელეგრაფი, რომელიც გაუფუჭებული იყო ოუნისისა და პლჯირის შუა, ამ ჟამად გაკეთებულია. ოუნისში არავითარი შიში არ არის შესახებ წესიერების დარღვევისა; ოუნისის ბიემ წარუდგინა საფრანგეთის კონსულს რუსტანს ახალი ნოტა, რომელშიაც ამბობს, რომ საფრანგეთის ყოფა-ქცევა შესახებ ოუნისისა ეწინააღმდეგება ხალხის უფლებებს; შეატყობინა აგრეთვე, რომ სხვა სახელმწიფოების კონსულებსაც აცნობა ეს ამბავი და ამასთანვე დაუმატა—მზათ არის ეს საქმე მეროპის სახელმწიფოებს მიანდოს გასარჩევათ.

— ლონდონიდამ გვაცნობებენ, რომ ოუნისის ბიემ დეპეშა მისწერა ლორდ ბრანვილს, რომელშიაც ის უსიამოვნებას აცხადებს საფრანგეთისაგან წესიერების დარღვევის გამო სამხედვარზედ და ამასთანავე აცხადებს თავის სურვილს, რომ მზათ არის მიანდოს სახელმწიფოებს ამ საქმის გარჩევა; ამას გარდა ის ამბობს, რომ

ოუნისს, როგორც ო მალეთის ნაწილს, უფლება აქვს მოსთხოვოს სახელმწიფოებს მფარველობა.

— როგორც ოუნისიდამ იწერებიან, ბეის უბრძანებია პეჭისა და ბეის ქალაქების ლუბერნატორები—სათვის, რომ გარდაცენ ეს ქალაქები ფრანკუხებს, მაგრამ ამასთანავე ოფიციალურად უსიამოვნობაც გამოუცხადონ.

— პარიჟელი გაზეთები სწორენ 16 აპრილიდამ, რომ რიტტერის კალონამ განდგენა გუშინ ხრუმილები ჰემელადდის სიმაგრეიდამ და მირეკა ძეგენანის ხეობაში. შინანდონის კალონამ მიაღწია მდინარის ძეგენანის მარჯვენა მხარეს და აიღო სიმაღლეზედ სიმაგრე. რამდენიმე შეტაკებაში ხრუმილებთან შრანკუხებმა დაჰკარგეს ორი მოკლული და ათი დაჭრილი.

**საზრანგეთი.** 21 აპრილს პარიჟში მომხდარა სხდომა „სახალხო განათლების საზოგადოებისა“, ზამბეტის თავმჯდომარეობით. მისგან წარმოთქმულ სიტყვაში გამოხატული იყო განათლების ქება და მოწოდება, რომ უფრო მეტად გაავრცელონ ამისი სიკეთე და სარგებლობა: „არ არის დედა მიწაზედ უფრო საპატიო სახელი და უმაღლესი მოვალეობა—დაუმატა ზამბეტამ—ვიდრე სახელი და მოვალეობა მასწავლებლისა. მალეობიც ვალდებული არიან ხელი მოუპართონ სწავლა-განათლების საქმეს. მართმა შეეცარიელმა ქალმა უკვე მიიღო მონაწილეობა საზოგადოებაში; მაშ ფრანკუხის ქალებმაც მიბადონ ამათ მაგალითს.“ მსმენელები აღტაცებით და ტაშის კერით მიეგებნენ ზამბეტის სიტყვას.

ზამბეტამ დაუმატა თავის სიტყვებს, რომ რესპუბლიკის პარტია ძრიელ უწყობს ხელს სწავლა განათლებასა და დასაბოლოებულად დაუმატა: „ჩვენი მიზანი არის სახალხო რესპუბლიკის დამკვიდრება და პროგრესის წესიერება“. ამ სიტყვის შემდეგ, რომელიც რამოდენიმე ჯერ იყო შეწყვეტილი ტაშის კერით, ზამბეტას დიდი ენაცია გაუმართეს.

**საპარიჟში.** ოსელიისა და შიორის ნაწილები, რომელნიც უნდა გარდაეცეს საპარიჟეთს ოსმალეთისაგან პირობის ძალით, შეადგენს 380,000 მცხოვრებლებს, 95,000 ათასს მაჰმადიანებს, 230,000 ბერძნებს და 55,000 სიგნებს. თუ საბერძნეთმა მიიღო ეს ნაწილები, მაშინ მცხოვრებლების რიცხვი საპარიჟეთში შეადგენს 2,060,000 სულს.

**ამსტრია.** მენი გაზეთი „Presse“ ამბობს, რომ მენიში მიღებულია რუსეთის ცირკულიარი 31 მარტის რიცხვით დანიშნული, რომელშიაც რუსეთის მთავრობა ამტკიცებს, რომ ამ ჟამად აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მეროპის სახელმწიფოების რჩევა

შესახებ პოლიტიკურ დამნაშავეთ უფლებების შევიწროებისა და რუმლითაც შეიძლება ამ მოწოდებას დაემატოს საერთო, სახალხოთაშორა არეულობა. მეროპის სახელმწიფოებს, როგორც სწერია ამ ცირკულიარში, არ შეუძლიათ არ იხმარონ საშუალებები მტრის (სოციალისტების) წინააღმდეგ, რომელნიც არა მარტო რუსეთისთვის არის საშიში. მეროპის სახელმწიფოები იქნებიან მოწოდებული გაარჩიონ ეს კითხვა; რუსეთის სახელმწიფოს სურვილი აქვს მოიპოვოს იმ გვარი საშუალებები, რომელნიც არ ეწინააღმდეგებიან სახელმწიფოების კანონმდებლობას, მაგრამ თავის მიზნამდის კი მიაღწიოს.

სად და როდის უნდა მოხდეს ეს რჩევა, ცირკულიარი არაფელს არ ამბობს.

**თშვილის საშუალება**

ავათმეფოები მიიღებიან დიდის ცხრა საათიდან ვიდრე ნაშუადღევის შირველ საათამდინ.

**ოტშახათს.** გვანანსკი — ექიმი ბუბიაბისა და ქალების ავათმეფობისა; გორაღვეიანი და ლისიცოვი — შიგნაგან ავათმეფობისა; რატინიანცი — ქალებისა და უმაწვილების ავათმეფობისა, ბაბაკვი სისუსტის და შინაგან ავათმეფობისა; შტეპმარსკი კენკრიულ და ტყავის ავათმეფობისა.

**სამშახათს.** შინკვიანი — სირუგიული ავათმეფო.; რეისი — თვალების ავათმეფობისა; ბასუტოვი — ბუბიაბისა, ქალებისა და უმაწვილების ავათმეფობისა; შეტროვსკი — კენკრიულ ავათმეფობისა.

**ოთხშახათს.** გრანსკოვარადავი და ლისიცოვი შინაგან ავათმეფობისა; ქიუჩარანცი და შტეპმარსკი — რიფილიტიკური და ტყავის ავათმეფობისა.

**ხუთშახათი** გავრონსკი — ბუბიაბისა და ქალების ავათმეფო.; რატინიანცი — ქალებისა და უმაწვილების ავათმეფო.; ბაბაკვი მარღვეების სისუსტისა და ელექტრო-ტრანშიისა ლისიცოვი და შეტროვსკი შინაგან ავათმეფობისა; ქიუჩარანცი 1-და სიფილისტიკური ავათმეფობისა.

**ზარასკევს.** შინკვიანი — სირუგიული ავათმეფობისა; ბასუტოვი — ბუბიაბისა, ქალებისა და უმაწვილების ავათმეფობისა; გრანსკოვარადავი, ლისიცოვი და ვეშმიშოვი — შინაგან ავათმეფობისა; შტეპმარსკი — კენკრიულ და ტყავის ავათმეფობისა.

**შახათი.** ლისიცოვი — შინაგან ავათმეფობისა. რეისი — თვალების ავათმეფობისა; ბაბაკვი — მარღვეების სისუსტისა და შინაგან ავათმეფობისა; ქიუჩარანცი 2-რე — ქალებისა და შინაგან ავათმეფობისა.

**ობრესტი** — გბილის ავათმეფოებს, მიიღებს თავის სახლში მუდამ დროს რდაბებს საავათმეფოებს ბარათებით.

# განცხადებანი

თბილისის ქალაქის გამგეობამ ხელახლათ დანიშნა ვაჭრობა შეთხანის წყლის მიღების გასაყვანათ. ტორგი იქნება 25 აპრილს. მისაც სურს პოდრიადის აღება, ვსთხოვთ მობრძანდენ ქალაქის რჩევაში ზემოთ დანიშნულ დროს. პროექტი, სმეტა და პირობა შეუძლიანთ ნახონ უბრალოდ ყოველ დღე 11 საათიდან 2 საათამდე.

(2-1)

სახელმწიფო ქონებათა, ტყეთა, სამეურნო და საეკონომიკო საქმეთა სამმართველო საჭიროდ სთელის საზოგადოთ გამოაცხადოს, რომ საეკონომიკო ხელოვნებით გამოფენა მოსკოვში უმაღლესის მთავრობის ნებდარ თვით, გადაიდვა მომავალ 1882 წლამდე და ამისთვის დაარსებული დინამარბელი კომიტეტი ამ გამოფენისა სთხოვს ბ. ბ. ეკსპონენტებს შეაჩერონ ნივთების გამოგზავნა, როგორც პირდაპირ მოსკოვში გამოფენაზედ, აგრეთვე თბილისის ქალაქში დამხმარებელ კომიტეტის სახელზედ.

დაწერილებითი ცნობები შესახებ მომავალ წლის გამოფენისა და ნივთების გამოგზავნის პირობები იქმნებიან თავის დროზედ გამოცხადებულნი.

სახელმწიფო ქონებათა სამმართველო სთხოვს ყველა იმ პერიოდული ჟურნალ-გაზეთებს ქვეყანაში, რომელთაც დაბეჭდეს პირველი განცხადება კომიტეტის მოქმედებისა, დაბეჭდოს ეს განცხადებაც.

(3-1)

## მასწავლებელი ძალი,

რომელმაც სწავლა შეასრულა ერთ თბილისის სასწავლებელში, აძლიერს გაკვეთილებს, ამზადებს ყმაწვილებს ყველა სასწავლებელში და მიიღებს მსურველთ სავაჭროდ, რომელნიც ივლიან-3 მან. და რომელნიც მუდამ ბინათ ყველაფერს დაშნალებულზედ-23 მანეთად. აღრესი: მესამე ნაგორის ქუჩა № 20, სარქისაგის სახლები, შავჭავჭავის ქუჩით.

(3-1)

## ლონდონის მაღაზია

განსაკუთრებული დასწრებით ნამდვილი ჩინოგასასყიდვად პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითურ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტებისა, ტურტულებისა, გრავატებისა, დანებისა, კოვჩებისა, ჩინიკებისა, მოკოვადისა, კაგასისა, დუსებისა, საზონისა, შხო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქალაღისა, განანდაშებისა, კაღებისა, უნაგრებისა, სუკონისა (გემრიელი კლეშკვინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მანკინტონის მოსახურავეს გასასყიდვად განაგებებს და ბატონის და კამპ. მურებისა, აგრეთვე ჩუქებისა და წინდებისა ნოტინგჰამიდან. ნამდვილი ქაინას იგარები.

(100-51)

## დასქილვა ფასებით:

სასამთრო ვალტრები 12 მანეთიდან; ჭყჭყაგები 2 მან. 50 კ.; ქუდები 1 მანეთიდან, ფოდნისები 5 კანკიდან; თუბები 12 კან. თითო; ანდუსის ბრისები 10 კ. გირვ.; ინგლისური კამუტები 40 კანკიდან, და ჩაი, რომელიცა უკლებს 2 მ. 50 კ. ღირს, ისე უიღებს 1 მან. 80 კ.

ინგლისის მაღაზიაში, ანწრუნის გაღერეიაში. (20-20)

მიუხედავით იმისა, რომ ზაფი მომაცა, საქონელი გაიყიდება ისე იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინიგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ.; მშვენიერი ვისისუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. პირველ გარგი ჩაი 2 მ. გირვანჯა უქალღლოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთიდან და თოფები 20—200 მანეთიდან. ინგლისის მაღაზიაში. სააგენტო ბარსის უნაგრების გასასყიდვად, ჯონსის კლიტებისა, მოკოვადისა და კესტრატისა კაგასი ფრანსის, რომელთაც დაიმსახურეს ზარეის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მედალი. გირვანჯა არამატეული ჩინისა ლამაზი ჩინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდან ბლომით ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხელებების კანჭეტი 60 კ. ერთი გირვანჯა.

100-51

## დასქილვის დროს ინგლისის მაღაზიაში იყიდება შარავლები

4 მან-დამ. თელი ტანთ-საცმელი 14 მან., ტრიკო და პარუსირა 75 შაურადამ არშ. ახალი სისტემის თოფები 1.560 და 100 მან. რევოლვერები 4 მან.—40მ-დი ქუდები და შლაპები თითო მანეთად უნაგრები 3 მ-დამ; კონიაკი 1 ხარისხის 2 მან. ბოთლი, ძველი პორტვინი და ხერესი 1 მან. 40 კ. შამპანის ღვინო 3 მან. კამფეტები 35 კ-დამ გირვ.; შუკოლადი 1 მან. 20 კ. გირვ. და ჩაი უქალღლოთ 1 მან 60 კ. უკეთესი მოსკოვი 2 მ. 20 კ-ნი ქალღლოთ.

იქვე მრავალი ტახტები, ფოდნისები, კლიტები, დანები, კოვჩები, კალმები, ქალღლი, კლიონკა, საურველი, ჩოთქები, ქურტლები, სტაქენები, მურაბები, და 16. 30 პროცენტით იათათ ვინემ სხვაგან. (15-6)

## სწავლა გამომკრისა და შაქარისა,

ახალი ხელოვნებით დასასყისს შეაძველობით.

იქვე მიიღებენ ქალების და ემაწვილების ტანისამოსის შეკრვას, ზომის აღებას და გამოკრას; ისე იღება ახალ მოდის სახენი გამოკრელებისა შეპირე-

ბული ზომისა და დაწვობენ ზლისეს მაშინაზედ. აგრეთვე ასწავლიან შეუძლებლ-უმაწვილ ქალთა, რომლის პირობაც შეიძლება შეიტყოთ უკუიამი, ნიკოლაევის ქუჩაში № 87. (10-5)

## იყიდება როიალი,

ზანგერის საკრავი მაშინა, სამზარეულო ფეხი და სხვა-და-სხვა მებელი. დავიდოვის ქუჩა, მოედნის ზემოთ, სახლი № 10, ზემო სართულში.

(3-3)

## ლონდონის მაღაზია

პრენის მოედანზე № 2, კომმერცულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ძიანტის და ჩინეთის პირველი მოწვევის ჩინის გასაყიდველად დასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნისი)

## ერთის წლის ანგარიში.

იგრის დამზოგველი ამხანაგობისა 25-ს იანვრიდან 1880 წლის 29-ს იანვრამდე 1881 წელს.

შემოსავალი:	მან. კ.
წილის ფული	161-70
მოსაწყობი	9-
ნავაჭრი ფარჩეულობის განყოფილებაში	10,246-84
ნავაჭრი საწერიმალის განყოფილებაში	6,872-89
ნისია საწერიმალის განყოფილებაში	230-57
სხვა-და-სხვა შემოსავალი	43-50
ძასსაში გადმოვიდა 1879 წლისა	850-
ნისიად არის წამოღებული	226-20
<b>ჯამი</b>	<b>18,640-70</b>

შასავალი:	მან. კ.
წილის ფული	30-
მოგება გატანილი წილზედ	254-21
ნავაჭრი ფარჩეულობისათვის	8,921-73
ნავაჭრი საწერიმალისათვის	5,961-65
ნასესხი გადახდილი	1,317-75
სარგებელი ნასესხისა	14-
სხვა-და-სხვა გასავალი	610-39
ჯამავირები და ქირები	1,254-77
ნასესხი მიეცამღ. ბედევს	200-
ძასსაში იყო	76-20
<b>ჯამი</b>	<b>18,640-70</b>

არის 29-ს იანვარს 1881 წელს.

შემოსავალი:	მან. კ.
წილის ფული	3,508-90
მოსაწყობი	285-
ნასესხი კერძო პირებიდან	1,158-45
სათადარიგო თანხა 1878 და 1879 წლების	66-75
მოგება გაუტანილი	272-15
წმინდა მოგება	1,364-40
<b>ჯამი</b>	<b>6,655-65</b>

შასავალი:	მან. კ.
საქონელი არის ფარჩეულობაში	2,523-14
საქონელი არის საწერიმალში	860-30
ნისია	2,146-14
ბარათები	137-13
ძონება	860-
დახლოდრებულ	283-93
პატენტი	105-
<b>ჯამი</b>	<b>6,655-65</b>

წვერიანი გამგებანი: ალექსანდრე ცხვედაძე, თ. დიმიტრი ციციანოვი, დავაიანი ასლან გარსიანი, მღვდ. მისეილ გულისოვი. თ. ემჯლომ. წვერიანი ზემოხსენებული კომიტეტის: ზლად. მღ. თუგ. გულისოვი, მღვდელი იოანეს ბედიკი, ახ. გრიგოლ ბილაინოვი, ნ. ქურდოვანიძე, თ. ლევან ჩუქიძე.